


ნინო ხინტაბიძე

დოლო გრუს დოა...



ბათუმი
2015




ნახო სინათბეზე 2015

წელს მუსიკურითა საძლებელობები
გამოიცხონ მცდარი ლოფტების
ჭრაშიცა, სახლოებითი
„ქართველი გოვ“...

განი მოავრი ლილიჭე
გულისხმოვლითა, სუვარჩითა და
ასებითითა.

ნახო სინათბეზე „მწერ-
ნაბეჭის“ სამაგისტრო წევრის. განა
ლოფტები უკავთ არ არის მრებას მოყვარულობითის. განა
ლოფტები ინიციატივის ფრთხილი ეკრანები-გაზირები.

სასამართლო და ფეხზემომარი ყოფილობების
ასაკებელობა, ნიჭილი უფროსის და მუსიკურის შემცირება.



დორო მოვა და...

უცხო ლანტი ჩაიწროლებს, ჩაიწროლებს და კიდევ
ცრემლის წვიმას აიტაცებს და ლრუბლებში
დაჰკიდებს...

სულის ტკივილს ამოიცნობს, ლუსკუმ დამეს
გაჰკიდებს,
სევდის ფერად აშლილ ფიჭრებს ფურცელ-ფურცელ
გაჰკიდებს...

საით ჩემი ოცნებები განა ფრთები აკლდა მას?
ზღვის ტალღები განუწყვეტლივ ენარცხება
აკლდამას...

სიცივეა და სიკვდილის სუსხი ბერავს შორიდან,
ცრო მოვა და განჯურნების წამალს თვითონ
მომიტანს,
უცხო ლანტიც ჩაიწროლებს, ჩაიწროლებს და კიდევ
ცრემლის წვიმას აიტაცებს და ლრუბლებთან
დაჰკიდებს...

1999 წელი, 8 მარტი

მთვარე

მთვარე ნაბად მოხურული,
თეთრ ლრუბლებში მონანავე
თითქოს დამეს წინ მიუძღვის,
როგორც ბრძენი მექანავნე.



ტბა მთვარის შუქს აირევლავს
როგორც ხარბი სარკე სხეულს,
მოედება ნაპირს ვერცხლი . . .
შლის ჰოეტი ღამის რვეულს.

ჭედმატალი ცის მნათობი
კვლავ ჩაუკრავს მიწას თვალებს
ის სიჩუმის მეუფეა,
ის დარაჭობს უკუნ ღამეს.

1998 წელი, 8 მარტი

ქარი ნაპირს ემუქრება,
ტალღას უქცევს მხარს,
„ზღვის ფერი გაჟვს თვალები და...“
სხვანაირი ხარ...
იცრემლება ცა,
თუ მანანა ცრის,
ტუჩებს რაღაც მოუხერხე,
გრანიტივით ცივს...
ქარი ღმუის უბოტიშოლ
ერკინება ზღვას,
გული უფრო ცხელია და
სხვანაირად ფქვავს...
ქარი მაინც ველურია,
ერკინება ზღვას...

1999 წელი, 8 მარტი



დამე

მოვა ღამე გარინდული, სევდიანი ღამე,
ციურ წებას დაუყვება, შემოალებს კარებს,
წელი კრთომით გაივლის და დაბრძანდება ტახტზე
ვერცხლის გვირგვინს დაატარებს ვარსკვლავებით
ნაჭელს,

შავ მოსასხამს მთვარის შუქი კრავს ერთიან სვეტად
ლალის თვალიც ვერ ამშვენებს მეფის სამოსს
მეტად...

მეც მონა ვარ ამ მბრძანებლის, მაგრამ ლექსებს
ვხედავ
ერთი საყდრის ნათელ შუქში მოძღვრის სახეს
ვხედავ...

ფხიზლობს, ნაზად დაიჩოქებს, ლოცვას ოწყებს
ჭვართან,
ამბობს: - ღმერთო დაითვარე სამწყო ყოველ ავთან...
წელი სიო შეატოკებს გაზაფხულის ვარდებს...

მღვდელი წყნარად, მოწიწებით თავს დაუკრავს
ხატებს...

ნიავი კი წელა-წელა კვლავ შეარხევს სანთელს
ღრუბლის კვამლი განაზებით ეპარება მთვარეს
ჩუმი ღამე ებრძვის სანთელს, ბნელი ებრძვის ნათელს
იდუმალი საფარველი ფარავს ნათელ მთვარეს...
ცრემლიანი ღვთის მსახური ცას მიაჰყობს თვალებს,
კრძალვით ითხოვს წვეროსანი აპატიონ ღამეს. . .

2009 წელი, 19 აპრილი



მეგონა თითქოს მიხმობდა ქარი,
არ ვიცოდი და ვიღაცამ მითხრა...
გვთის სიყვარული რატაც მეტა...
და მზეში იშვა ზღვის ტრაგეტია.
სული მონანულ სარკმელუში მიმზერს,
რატა მაშთოთებს თოვს ჰარმონია...
გულის წადილი ამიხდა თითქოს,
ცუდი სურვილი მე არ მქონია.
და ძგერდა გული ვით მელოდია
სულს სიყვარულში ტოლი ჰყოლია...
მეტის სურვილი მე არ მქონია,
გვთის სიყვარული ცუდი როდია?
გულს ეკითხება გონება ცივი
ფილოსოფოსთა ნაღვაწი მიკვირს,
მეცნიერების კოსმოლოგია
და სახარების ქრონოლოგია...
ნეტავი უღვთოდ ასე როგორ ვძლებთ
და არ გვაოცებს ფანტაზიონია...
ადამიანში მიზანტროპიზმი,
სულის კუნჭულუში მელანქოლია?
უსიყვარულოდ სიკეთე მაინც
ყალთაბანდი და ლოთად მგონია
აზრებს გვიწერავს მიზანტროპიზმი
და გულს გვიკაწრავს მელანქოლია.

2013 წელი, 2 სექტემბერი



სულის ძახილი

ო, რას გერნახობს სული?
რას გეუბნება გული?
სითამამეა სრული
განვლო ცხოვრება რთული.
მე ავამლერე ჭნარი,
ლექსებს ავუბი მხარი. . .
მეალერსება სიო
და მეფერება ჭარი. . .
სულის ძახილი დამტლის?
თუ ნაბიჭები ჩქარი?
არ დავიტლები ამით,
არ შევჩერდები წამით,
მაინც ავუწყობ ფერხულს
დროის დინების ხარიზმს. . .
სულის ძახილი დამტლის?
თუ ნაბიჭები ჩქარი?
მეალერსება სიო,
და მეფერაბა ჭარი. . .

2009 წელი, 23 აპრილი



მი პი მხოლოდ სიყვარული მინდა

ო, მე შენი სიყვარული მათბობს
და მზეც ისე იცქირება ციდან,
რომ ყვავილებს სურნელებას ათოვს,
ოქროს შუქი იღვენთება მთიდან. . .

არემარე გაბატონულა თითქოს,
ატმებს სითბო ეფერება ფრთხილად. . .
იებს სწორედ გაზაფხული ახსოვთ,
მე კი მხოლოდ სიყვარული მინდა.

2007 წელი, 8 თებერვალი

გამაღვიძა აისმა. . .
შორი ხმა რომ გაისმა,
შენი სახე მომაგონა
ალისთერმა მაისმა.
მერე იყო ლვინის სმა. . .
ამიტაცა ხალისმა,
გამახსენა თბილისმა
ნაჩუქარი თილისმა.

2008 წელი, 9 ოქტომბერი

ესყი სული

საით წავიდე სულო ამაყო?
ვერ გაბეჭევი წუთით...
დაუნდობელი წუთისოფელი
არ მაპატიებს წუხილს...

2004 წელი, 28 თებერვალი

ბათუმური სადღებრძელო

მთისწინეთის დათოვლილი მწვერვალები
და სერები თეთრი თოვლით ნაფიცქი...
მზის სხივების ოქროს ლვარით დაფენილი
მუზების და ფერიების ნაფიქრი...

ფერდობილან მზის ისრები ცურდებიან,
ტბილან კრთება არეკლილი ნამქერი...
თვალებსა სჭრის წყლის ლივლივა ზედაპირი,
სიციაგე მკვეთრი შუქით ნაფერი.

ნურის ტბასთან მოსეირნე ჭართველები,
გული ნაზი სიყვარულით ნავსები...
მოსალხენი აფგილები სანაქებო
და ჰირსავსე ტკბილი ლვინის თასები...

ბათუმური სიხალისით ანთებული
ახალგაზრდა მონავარდე წყვილები,
ნურის ტბასთან მოსეირნე ჭართველები. . .
მოსალხენი აფგილები სავსებით.

გამეტებით იცოდებან სასმისები

საფოებრძელო შეისმება ნაწები:-
„მატლით დმერთი შეგეწიოს საქათველოვ,
დაილოცა ქვეყნად შენი გამჩენი“.

2005 წელი, 24 იანვარი

თეთრი ღამე

ო, თვალებში ჩაუკრსულა თეთრი ღამე,
სასთუმალი მოლოდინის ცრემლით ვნამე. . .
სარკმელიდან შორს ვუჭვრიტე ციურ მნათობს,
ჩალვენთილი სანთლის შუქი ახლაც მათბობს.

თეთრი ფიფქი დასცვენიათ ატმის ტოტებს,
ხეთა შორის გაზაფხული დააბოტებს.
ვარდის კოკრებს შერჩენიათ ვერცხლის ცვარი,
იასამანს უბოდიშოდ ირჩევს ჭარი. . .

შინდის ყვავილს დაეკონა ნაზი სიო: -
აგრე კარგი ვისი ხარო არ ვიციო?
ლურჯ დალალებს უთამაშებს ტურთა იას
და იხიც კი თავს დაუხრის ამაყ ნიავს.

2004 წელი, 27 დეკემბერი

ჩავიდა მზე და ჩამოწვა დამე,
თან მოიტანა ვარსკვლავთა ჭარი...
გარინტულ ყლორტზე ნიავი დაწინის,
ნაბიჭი ისმის შორი და ჩქარი...

მოლიან თითქოს თქვენთან ფიჭრები,
ფაჭრილმა გულმა შესწყვიტა გლოვა?
ჩუღჩულებს ჭარი მარტო ვიწნები...
ფაფნის გვირგვინი უჩუმრალ მოვა.

გავიდნენ წლები დროთა და უამთა...
ხედავდით ყოფას კარგთა და ავთა,
გულმა სიკეთის კეთება გთხოვა
და ნელა იწყო ჭალარამ თოვა.

2003 წელი, 17 მარტი

ივლისი

ივლისია და ზაფხულის მწვავე სიცხე ხურდება,
მწვანე ხეთა ფოთლები კი, მაინც არა ხუნდება.
გრილი სიო დაიჭროლებს, წყნარად არახუნდება,
თეთრი ლრუბლის ნისლებს მოყრის, ზეცა დაიჭუხება.

წვიმის ნელი წვეთები მიწას ცემით აწყობა,

დედამიწას ორთქლი ასდის, ობშივარი ან წყდება.
ზეციურის დასალიერს ბინდი გადააწყდება...
მზე ტრუბლებში იკარგება, ნეტა რატომ ან წყრება?

საავტორებლად წარბშეკრულ ცას ეპარება დაისი,
ხის ფოთლებზე წვიმის შხაპი შარაშურით გაისმის.
სიო თითქოს მიჩუმათლა, თითქოს უმალ განაზღა
და მიწაზე წვიმის ფართა დაეშვება ანაზღად.

2007 წელი, 8 ივლისი

საქართველო

წუთისოფელი ან ჩაივლის უსიხარულოოდ
ან გაცვდება სიყმაწვილე უსიყვარულოოდ.
ჩემო რწმენავ, ჩემო ენავ, ჩემო მამულო
ტანჭული გულის ვარაუ მკერდში ამოქარგულო.

ეს ჰატარა მიწა-წყალი ვისი წილია?
ადამის გული ამისათვის ძალზე მწირია.
სარწმუნოებას გვიქადაგებს დიდი ილია,
ვისაც თავი სამშობლოსთვის გაუწირია.

შენი დროება - გარდასული წლები უებრო,
რამდენი ომი, ჭირ-ვარამი გადაგიხდია,
დაპყრობასა და დევნილობას შენაგუებო
შენთვის სიცოცხლე მე ზვარაკად შემიწირია.

2012 წელი, 6 იანვარი

ღრუბლიანი ცა აპირებს ტირილს,
ალბათ გაიგო ჩემი გულისა.
და თუ კი ხვალაც არ მოხვალ კრძალვით,
ბეტყვი არ მჯერა სიყვარულისა...
თუ ეშხიანი შენი თვალები
მომანათებენ შუქურს ელვისა,
ამ სევდიანი გულის ნაპერწკალს
ჩაჭრობს ბინდი შეღამებისა.
დღეს შენი სახე შემომეფეთა
ეს წყარო არის შთაგონებისა
და შენ მოგიძლვნი ამ მცირე ბწყარებს
რაც რომ სულივით შემომეთვისა:
„მოდი, გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცვლოს ელვამ შენი ტანისა
ვარდის ფურცლების ნიშანი არი;
და დრო ახალი ჰაემანისა!...“

2010 წელი, 2 დეკემბერი

ვარსკვლავთა ვერცხლმა ბინდი დააცხრო,
ღრუბლები თეთრალ გაჰკვრიან ზეცას.
მინდა გაჩუქო მთელი სამყარო,
შემოგატარო ჩვენი ჰლანეტა.
შენი ტუჩები ისევ მებრძვიან
თავსდატეხილი ქარიშხლებივით,
მე სიყვარულმა თათით დამტორა
ბაგიუებული მურა დათვივით.

ჭენებას მივყევ, ჩრთილმა გამასწლოთ

ვერ დავეწიე, ვერც გავეჭიცი. . .
მოვერცხლილ მთვარეს მივეცი ბული
და მან გადგო მისი სათქმელი.

2003 წელი, 7 მარტი

ცისპრის ზარები

სიკვდილზე ფიქრმა გალია დლენი,
გავიდნენ წლები შესაზარები. . .
მწარე დალატმა დახარა ფრთები,
ახლაც კი რეკენ ცისკრის ზარები.

ვერ შეგელევი სიცოცხლევ ტკბილო,
თუნდაც კარები დაახშონ მტილო;
თუნდაც მომხვილნ მძიმე საბლები,
ბაბეჭივი და დაბემალები.

სწრაფად გამშორდი სამარევ გრილო,
გადი, გასწიე ცივი ხელები,
მხოლოდ მაშინ თუ მომეგრაგნილო
ანგელოზებს რომ მივეახლები.

2011 წელი, 20 მარტი

რა ვქნა ჭალარა შემომერია,
წლები ტატით შემომელია.
მკაცრი დინება ვერ მომერია
ცხოვრება ჩემი მეზობელია. . .

წლები გაფრინდნენ, წავიდნენ ჩქარა,
თითქმის სიბერე შემომეპარა.
ახალგაზრდობა ან ვინ მომპარა,
ან დედამიწა ვინ ააჩქარა?!

არ მინდა თოვლმა ისევ იფიფქოს,
არ ვიცი სწორედ რაღა ვიფიქრო,
რატომ გაფრინდნენ დღეები ჩქარა?
ან დედამიწა ვინ ააჩქარა.

2009 წელი, 12 აპრილი

შორი მაისი

შორი მაისი დამცქერის თავზე
ნათელი მთვარე ფიქრად იღვრება,
გრილი ნიავი დაჰჭროლებს ბალებს,
ბუნება ჰყვება გამოლვიძებას.

ცრო მოვა წახვალ დამის ნისლებად,
დავრჩები ობლად დამიბინდება,
ვცდილობ გავიგო უშენოდ შთენილს
საით წამილებს უხვი დინება.

ამიყოლის მრაუმე ფიქრებმა

მე სასიცოცხლოდ ვებრძვი ძველ განცდებს. . .
მხოლოდ ვიკითხავ როდის იქნება?
რომ სიყვარული დაგვირჩვინდება.

მე ლმერთმა შემქმნა და მან მინება,
ეს სიყვარულიც არის ქმნილება,
ფრო მოვა განცდა დამავიწყდება. . .
უფალმა თურმე ასე ინება.

2012 წელი, 3 აგვისტო

დობის სადღებრძელო

დაო თვალი ხარ ლისაო,
ამომავალი მზისაო. . .
შენის ლამაზი ენითა
ბული მევსება ლხენითა.

შენით ვარსკვლავნი კრთებიან,
„მთვარე უმღერის ლელიანს“
ია და ვარდი იშლება,
ბულბულნი შვებით თვრებიან. . .

ნორჩო კოკორო ბალისა,
მადლობელი ვარ ლმერთისა,
რომ შენისთანა ასულის
ფობა მარტო მე მეცირსა.

2007 წელი, 20 იანვარი

პოეტი

ლექსი იბალება, როცა პოეზია
მიჰყება დასასრულს. . .
მაშინ ამღერდება, როცა პოეტი
იპოვის აღსასრულს. . .
მიეც-მოეცია მთელი ეს ჭვეყანა,
თუ ვერა გაუგე, ჭირი მოგჭამა. . .
ლექსი მითესია, ხარობს პოეზია
მთელი ეს ჭვეყანა მიეთ-მოეთია.

2014 წელი, 20 ოქტომბერი

დედას

დედა შენ დამბალე,
დედა შენ შემქმენი...
შენით ცოცხლდებიან
ნალდი პოეზიის
დიდი მესვეტენი.
დედა შენი წყრომა
ვარსკვლავს მიემთხვია...
იგი ვინც გიყვარდა
ხელებზე გემთხვია.
სევდამ მიაშურა
მსუბუქ პოეზიას,
როცა ურითმობა

მას ძემოება.

„დედა შენთან მინდა“ -
ტიტინებს პატარა...
ბრუნავს დედამიწა
ნაპირი გამჭრალა.
დედის მოგონებით
მზე ისევ ასხივებს,
დედის მოგონებით
ცა წვიმებს აწვიმებს...
მკერდთან განაბული
ვფიქრობ მხიარული:
მაინც ვერა ვძლები
დედის სიყვარულით.

2004 წელი, 20 ოქტომბერი

სულა ლოცვა კვლავ ინატრა
სულმა ლოცვა კვლავ ინატრა
ომერთთან ერთობა სურს,
მოყავისფრო თვალები დახრილან,
ბაგე არ იხსნება - დუმს.
ჩუმი ჩურჩულიც ლოცვაა,
ყოველი სულთქმა ესმის
ომერთს!

ისევ ვდუდუნებ წყნარად და
ვითხოვ ღვთისაგან ერთს: -
მინდა მსოფლიო მშვიდობა,
რომ აღარ სტყორცნილნებ მესს. . .
რომ ყველა, დიდი თუ პატარა
შეჰვარდებდეს ღმერთს!

2004 წელი, 14 მარტი

ლექსი

როცა ბაბა შეისვენებს,
გააბოლებს ყალიონს,
ლექსი კვამლად უნდა იქცეს,
მიეგებოს ალიონს.
მაშინ ნენეც დაუყვება
მოქსოვს წინცებს ჭრელასა,
რითმის გუდა გადავკიდოთ,
სახედარსა „ჭრელასა“.
ლექსი უნდა მეეჭიბროს აკაკის და შოთასა,
სულს მოითქვამს პოეზია,
დაისვენებს ცოტასა.
მისი რითმა უნდა იყოს მწყობრი მწყობრთა წყობასა
დაესმგავსოსო ტაბიძის - ლამაზ სიტყვის კონასა.

ლექსი უნდა მჩინანთბოტეს, ხმიანობოდეს, უმნობდეს

ენა უნდა წყლიანობდეს, ჭილიკა ცოტას უთმობდეს.
სიყვარულით ამოენთოს სათქმელი და უთქმელი,

აყვავდეს და გაიხაროს, როგორც მწვანე ურთხმელი.
ჰოეზიის სიყვარულით ბევრი ბეტავს წერასა,
მაგრამ ლექსი არ გამოსტის აუტანია წერასა.
ამიტომაც გალაჭებიონს მიბაძეთ და მისტიეთ,
რომ არ ჰგავდეს თქვენი ლექსი უთვიმსტომო
ინტიელს.

ჰოდა წენეც დაუყვება, მოქსოვს წინდას ჭრელასა,
რითმის გუდა გადავკიდოთ სახედარსა „ჭრელასა“,
როგა ბაბა შეისვენებს გააბოლებს ყალიონს,
ლექსი კვამლად უნდა იქცეს შეეგებოს ალიონს.

2014 წელი, 14 მარტი

ობოლი სული

ტკივილი მკლავს, დაჭრილია ეს ტანჭული სული,
ჩემს სარკმელთან აღარასლონს მოვა გაზაფხული . . .
სიმწრისაგან იკუმშება დაღარული გული,
მეწვის თვალი ცრემლით სავსე, ცვარით დანამული.
მომავლის ფიქრს ვერ აქარწყლებს უამიერი ყოფნა,
მარტობის, ჭირის განცდის ფიქრმა გადამთოვა. . .
ვინ გაიგებს დარდს და ვარამს, ვინ შეისმენს თხოვას?
მტერი დუშაშს გააგორებს, ჭორი წყურვილს მოკლავს.



ლომერთო შენ ერთს გევეფრები დამიღეჭი ფარად,
შემიწყალე მე გლახაკი - ბაგეს ლოცვა ფარავს;
შეისმინე ჩემი ლომერთო ცამლე სწვლება გლოვა. . .
მომიტევე ყოველაბვარი ლომერთო შეცოდება.
წამიკითხავს როგორია ცხელი ცრემლის ძალა:
მუხლმოლენებით გევეფრები არ დამტოვო ცალად.
მოგვანიჭე მხევლებს შენი უჭირველი ხანა,
ეს იქნება ამ სიცოცხლის დასასრული განა?
გაგრძელება სიხარული, მაღალ ცათა თანა,
სად არ არის არცა ურვა, არცა სულთქმა თანა,
არამედ არს სიხარული მაღალ ცათა თანა.
მაინც მინდა შეგევეფრო სიმშვიდითა სიკვდილს,
ლომერთო მეტი მწყალობელი ჩვენ არავინ გვივის.
დაგვითარე ლომერთო ყველა აგვაშორე ავს,
მიგვამთხვიე შენებურად დიდ სიკეთის მაღლს,
მუხლმოლენებით გევეფრები, რახან შეგწევს ძალა,
მოგვანიჭე მხევლებს შენი უჭირველი ხანა.
ურცხვენელი აღსასრული, დგომა ყველა

წმინდანთანა.

2008 წელი, 9 ოქტომბერი

ზამთარი

თეთრ ბურუსში გახვეულა არემარე,
თოვლი მოგის ციდან.
ფანტელები ცვივა, ცვივა
ფიჭჭი ერთი ციდა.
თეთრ ნაბაზში გამოხვეულ მიწას სძინავს,

გადაითოთ თოვა

მზემ თვალები გააჭირდა ოქროსფერი
ბზინვარება, თოვამ.
არ იდარღოთ პატაწინა ბეტურებო
გაზაფხული კვლავაც ისევ მოვა.

2015 წელი, 7 იანვარი

მზის ჩასვლა ბაზაფხულზე

გაზაფხული ბვეწვია,
აჭიკუდა მზეწვია;
მზემ თვალები ჩაგვიკრა
სხივი წამოგვეწია...
მოეხვია იას და
ნაზად პირზე ემთხვია. . .
მზემ სხივები დახარა
გაუწითლადა ლაწვია,
მერე გაუჩინარდა
და სალამოს გვაწვია.

2015 წელი, 11 იანვარი

მოყვარულთა საუფლოში

მოყვარულთა საუფლოში
ლექსი ლექსისა თაობდა,
ფიქრის გროვა მეწვეოდა
რითმა რითმას არ თმობდა.

თუ კარგად ავთებდი

სტრიქონები ვარგოდა,
სიტყვა სიტყვას მიჰყებოდა
სათქმელი მას გაჰქონდა.
რაც შევთითხნე, რაც ვეწვალე
ყველა ლექსალ გამოგდა.
პოეტობას იბრალებსო
სიამაყე დაობდა. . .
განა უხვი სტრიქონები
ურითმიბით დაობლდა?
რაც შევთითხნე, რაც ვეწვალე
ბულის სათქმელს ამბობდა.

2012 წელი, 22 დეკემბერი

გამომც. რედაქტორი: მანანა წულუკიძე
საგანმნათლებლო ორგანიზაცია
“მწიგნობარის” დირექტორი
ოპერატორი: ქეთევან ხინთიძე
კორექტორი: მზევინარ ძირკვაძე

წიგნის ზომა 20.5X14.5
ფიზიკური თაბახი 60X84
ტირაჟი 60

წიგნის გამოცემა უზრუნველყოფილი
იქნა „პოლიგრაფი 2010“ მიერ

ISBN 978-9941-0-8141-5